აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 18

06/09/2020 **ქ. ბათუმი**

საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 01 სექტემბრის N5 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების განხორციელებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი იქნას საწვავის ხარჯი შემდეგი ოდენობით:

N	ოლქის N	ოლქის დასახელება	ოლქის ხარჯები (გადაზიდვის ხარჯები)
1	79	ბათუმი	875
2	80	ქედა	875
3	81	ქობულეთი	875
4	82	შუახევი	875
5	83	ხელვაჩაური	875
6	84	ხულო	875
სულ			**5250**

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოცემული იქნეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რომლითაც ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში მოხდება საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრა შესყიდვის მომენტისათვის ბაზარზე არსებული ფასის გათვალისწინებით.

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ განკარგულების საფუძველზე უსკოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში საწვავის შესყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ტალონური სისტემით საოლქო საარჩევნო კომისიებზე გადაცემა.

4. საოლქო საარჩევნო კომისიებმა უზრუნველყონ მათთვის გადაცემული საწვავის მიზნობრივად გამოყენება და ხარჯვის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი